# 6

# ქართული ენა

## მოსწავლის რვეული

ნინო გორდელაძე
თეა ქიტოშვილი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

სახელი ______________________________

გვარი ______________________________

ქალაქი/სოფელი ______________________________

სკოლა ______________________________

კლასი ______________________________

# შინაარსი

## დამატებითი სავარჯიშოები


ფონეტიკური მოვლენები ... 6
ლექსიკა – სინონიმები ... 7
არსებითი სახელი
- ფუძის კუმშვა ... 8
- კვეცა ... 9
- არსებითი სახელი და თანდებული ... 16
- არსებით სახელთ ბრუნების წესების დაცვა – რედაქტორის გვერდი ... 18

ზედსართავი სახელი ... 22
რიცხვითი სახელი ... 27
- რიცხვითი სახელის მართლწერა – რედაქტორის გვერდი ... 29

ნაცვალსახელი ... 31
- ნაცვალსახელის მართლწერა – რედაქტორის გვერდი ... 34

ზმნა
- ზმნასთან პირის შეწყობა ... 37
- სასხვისო და სათავისო მოქმედება ... 40
- უშუალო და შუალობითი მოქმედება ... 41
- ზმნა და ზმნისწინი ... 41
- ზმნის სრული და უსრული ფორმები ... 43

ზმნიზედა ... 44
გავიხსენოთ სიტყვათა კლასები ... 45
ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები – დამატებითი მასალა ... 47
მართლწერა – რედაქტორის გვერდი ... 49
ლექსიკა – ტერმინები ... 50


## ტესტები შესწავლილი მასალის გასამეორებლად


ტესტი 1 ... 51
ტესტი 2 ... 52
ტესტი 3 ... 54
ტესტი 4 ... 55

# ფონეტიკური მოვლენები

**1.** იპოვე ორთოგრაფიული შეცდომა და ამოიწერე სწორად (რაოდენობა მითითებულია):

ა) მაგას ჩემი აღარ ეშინია, ქალი რომ ვარ, მთლად აბუჩათ ამიგდო! (1)

ბ) ნაჯახი შუაგზაზე შევაჩერე, ხეს ძირზე ბრთხილად შევახე. (1)

გ) მოკლედ, ზუსტათ ისე მოვიქეცი, როგორც ბებიამ მასწავლა. (1)

დ) ქალმა კალათა დააცალიერა, შემდეგ კი გემრიელი მსხალი სტუმრებს გააშინჯა. (2)

ე) ანანია უხმოთ გავიდა ეზოდან და გზას ზევით აუყვა. (1)

ვ) ახშფოთებული ბიჭი ჯიუტად ამტკიცებდა, მასწავლებელმა გამანთავისუფლაო. (2)

ზ) გულმოდგინედ ავღწერე, თუ რა დავათვარიელე იმ უცნაურ მხარეში. (2)

**2.** გაიხსენე გრამატიკული წესები და აღნიშნე, ამათგან რომელ მაგალითებში დაირღვა:

ა) ბრუნვის ნიშნის მართლწერა;

ბ) ზმნისწინის მართლწერა;

გ) სხვა ფონეტიკური მოვლენები:

# ლექსიკა – სინონიმები

**1.** დააჯგუფე სინონიმები სიტყვისა „შეშინებული“:

დაშინებული, შეცბუნებული, შეძრწუნებული, დაფეთებული, გულგახეთქილი, შემკრთალი, თავზარდაცემული, შეშფოთებული, დამფრთხალი, ფერდაკარგული, ელდანაცემი.

გაანაწილე 6-6 სიტყვა სათანადო ნიშნის გათვალისწინებით:

| მცირედ შეშინებული | ძალიან შეშინებული |
|---|---|
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |

**2.** დააჯგუფე: ნამდვილი, მართალი, სანდო, გულწრფელი, უტყუარი, უდავო, უეჭველი, შეუცდომელი, სარწმუნო, ზუსტი, ალალ-მართალი, წმინდა, სპეტაკი, მართებული, წესიერი.

გაანაწილე 8-8 სიტყვა სათანადო ნიშნის გათვალისწინებით:

| ადამიანი | ამბავი/ფაქტი/აზრი |
|---|---|
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |
| ............ | ............ |

აღნიშნე, ამათგან რომელი შეეფერება როგორც ადამიანს, ისე ამბავს/ფაქტს/აზრს.

# არსებითი სახელი

## ფუძის კუმშვა

### V კლასში შესწავლილი მასალის განმტკიცება

**1.** მოცემული ნაწყვეტიდან ამოიწერე 5 ფუძეკუმშვადი სახელი: (დააკვირდი, სათანადო სტრიქონები მონიშნულია)

გულადმა თერძმა საჩქაროდ ქამარი გამოჭრა და ზედ დიდი ასოებით წააწერა: ერთი მოქნევით შვიდის მხოცველი! ✓

– სოფელი რას მიქვია! – წამოიძახა ისევ, – ჩემი გმირობა მთელმა სამყარომ უნდა შეიტყოს! – და ამ სიტყვებზე გული ბატკნის კუდივით აუთამაშდა.

შემოარტყა შარვალს ქამარი და შორი გზისთვის გაემზადა, პატარა სახელოსნო ევიწროვა თავისი ვაჟკაცობის ასპარეზად. წასვლის წინ მთელი თარო-განჯინები მიჩხრიკ-მოჩხრიკა, რომ იქნებ რამე საგზლად წასაღები ეპოვა, მაგრამ ერთი მუჭისოდენა ჭყინტი ყველის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. ჩაიდო ჯიბეში და სახლიდან გავიდა. გზის გადაღმა ბუჩქში გახლართული მერცხალი დაინახა, დაიჭირა და უბეში ჩაისვა.

**ნიმუში:** ქამარი - ქამრის

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**2.** მრავალწერტილის ადგილას ჩაწერე სახელის სათანადო ბრუნვის ფორმა:

1. წასვლის წინ მთელი განჯინები მიჩხრიკ-მოჩხრიკა, რომ იქნებ რამე ........................... (საგზალი) ჩასადები ეპოვა.
2. შუაღამე რომ გახდა, ადგა, რკინის კეტი აიღო, საწოლსა და ........................... (სავარძელი) ზურგს იმდენი ურტყა, სულ ........................... (ნაფოტები) აქცია.
3. თუ გმირთაგმირი იმ დევკაცებს დახოცავდა, მეფე თავის ქალიშვილს ........................... (ცოლი) მიათხოვებდა და მალე ........................... (დედოფალი) ქმარი გახდებოდა.

4. დაიძრა გულადი თერძი დევკაცების შესამუსრავად ასი ........................... (ცხენოსანი) თანხლებით.
5. დევმა იფიქრა, ........................... (ხმალი) ერთი მოქნევით შვიდი კაცი გაუკვე-თიაო.
6. მოხსენება ეხებოდა ისეთ მტკივნეულ საკითხებს, როგორიცაა ........................... (ჰაერი) და ........................... (წყალი) დაბინძურება.
7. მთელი ამ ........................... (ხანი) განმავლობაში ბიძია სევა მხოლოდ ტელე-ფონით თუ დაგველაპარაკებოდა.

- ამოიწერე ფუძეკუმშვადი სახელები, რომლებიც ნათესაობით ბრუნვაში დგას:

______________________________

# კვეცა

## გაიხსენე: ფუძეკვეცადი სახელების ბრუნება მხოლობით რიცხვში

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | მაგიდა | ხე |
| მოთხრობითი | მაგიდა-მ | ხე-მ |
| მიცემითი | მაგიდა-ს | ხე-ს |
| ნათესაობითი | მაგიდ~~ა~~-ის | ხ~~ე~~-ის |
| მოქმედებითი | მაგიდ~~ა~~-ით | ხ~~ე~~-ით |
| ვითარებითი | მაგიდა-დ | ხე-დ |
| წოდებითი | მაგიდა-ვ | ხე-ვ |

ასე იბრუნვის **„ა“** და **„ე“** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები. „ა“-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი არ იკვეცება. მაგალითად: კოდალა, ჭრიჭინა, ტოროლა....

**1.** დააკვირდი ზემოთ მოცემულ მაგალითებს და უპასუხე კითხვებს:

ა) რომელ ბრუნვებში მოეკვეცა სახელს ბოლოკიდური ხმოვანი?

______________________________

ბ) დაირთავს თუ არა **ა** და **ე** ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული სახელები სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანს?

______________________________

**2.** ზემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით აბრუნე სახელები:

| სახელობითი | მეთევზე | მდინარე | ცა | მიწა |
|---|---|---|---|---|
| მოთხრობითი | | | | |
| მიცემითი | | | | |
| ნათესაობითი | | | | |
| მოქმედებითი | | | | |
| ვითარებითი | | | | |
| წოდებითი | | | | |

| სახელობითი | მზე | ზღვა | გზა | რეკლამა |
|---|---|---|---|---|
| მოთხრობითი | | | | |
| მიცემითი | | | | |
| ნათესაობითი | | | | |
| მოქმედებითი | | | | |
| ვითარებითი | | | | |
| წოდებითი | | | | |

## გაიხსენე: ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნება მხოლობით რიცხვში

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | უთო | ბუ |
| მოთხრობითი | უთო-მ | ბუ-მ |
| მიცემითი | უთო-ს | ბუ-ს |
| ნათესაობითი | უთო-ს(ი) | ბუ-ს(ი) |
| მოქმედებითი | უთო-თი | ბუ-თი |
| ვითარებითი | უთო-დ | ბუ-დ |
| წოდებითი | უთო-ვ | ბუ-ვ |

ასევე იბრუნვის სახელები, რომელთა ფუძეც **„ო“** და **„უ“** ხმოვანზე ბოლოვდება. გამონაკლისია სიტყვა „ღვინო“. ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში **„ო“** ხმოვანი იკვეცება.

| | |
|---|---|
| სახელობითი | ღვინო |
| მოთხრობითი | ღვინო-მ |
| მიცემითი | ღვინო-ს |
| ნათესაობითი | ღვინ~~ო~~-ის |
| მოქმედებითი | ღვინ~~ო~~-ით |
| ვითარებითი | ღვინო-დ |
| წოდებითი | ღვინო-ვ |

**1.** დააკვირდი მოცემულ მაგალითებს (უთო, ბუ) და უპასუხე კითხვებს: მოეკვეცა თუ არა სახელს ბოლოკიდური ხმოვანი რომელიმე ბრუნვაში?

---

ა) დაირთავს თუ არა **„ო“** და **„უ“ ხმოვანზე** ფუძედაბოლოებული სახელები სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანს?

---

ბ) რომელი ბრუნვის ნიშნები ჰგავს თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვის ნიშნებს და რომელი ბრუნვის ნიშნებია განსხვავებული?

---

გ) რომელი ბრუნვის ნიშნები ჰგავს ხმოვანფუძიანი ფუძეკვეცადი სახელების ბრუნვის ნიშნებს და რომელი ბრუნვის ნიშნებია განსხვავებული?

---

**2.** ზემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით აბრუნე სახელები:

| სახელობითი | წყარო | რკო | ეზო | მდელო |
|---|---|---|---|---|
| მოთხრობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| მიცემითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| ნათესაობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| მოქმედებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| ვითარებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| წოდებითი | .......... | .......... | .......... | .......... |

**3.** ხმოვანფუძიანი ფუძეუკვეცელი სახელების მსგავსად იბრუნვის რამდენიმე უცხოური წარმოშობის სახელი, რომელთა ფუძეც **ი** ხმოვანზე ბოლოვდება. ასეთებია: **ტაქსი, ჩაი, ტრამვაი**. აბრუნე ეს სახელები ზემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | .......... | .......... | .......... |
| მოთხრობითი | .......... | .......... | .......... |
| მიცემითი | .......... | .......... | .......... |
| ნათესაობითი | .......... | .......... | .......... |
| მოქმედებითი | .......... | .......... | .......... |
| ვითარებითი | .......... | .......... | .......... |
| წოდებითი | .......... | .......... | .......... |

**4.** წაიკითხე წინადადებები, ამოიწერე ხმოვანფუძიანი სახელები და გვერდით მიუწერე, რომელ ბრუნვაშია (რაოდენობა მითითებულია):

1. პაატა მთელ თავისუფალ დროს აქ ატარებდა. (2)

2. როცა დაძინების დრო მოვიდა, დევკაცმა საწოლი მიუჩინა, ღამე აქ მოისვენეო. (1)

3. მოუთმენლად ელოდნენ იმ წამს, როდესაც ბიძია სევა მათთვისაც მოიცლიდა. (2)

4. წუთიც არ გასულიყო და წითელჯვრიანი მანქანა ჩვენი ეზოს ჭიშკართან იდგა. (2)

5. ესპანეთი გაძარცვეს: დიდი ოქროს თასი წამოიღეს და ახლა მუზეუმში დგას. (1)

6. – ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ახლა სპილოს ვგავარ? თუ ბეჰემოთს? (1)

7. დედამ გასაუთოებელი სარეცხი საჩქაროდ აკრიფა, მერე უთოს ეცა, დაავიწყდა, რომ ცხელი იყო და ხელი დაიწვა. (2)

8. ქათქათა თეთრ ფარდას მუქი ყავისფერი დალი დაეტყო. (1)

9. ბოლოს ყველანი ერთად მივიდნენ გოგონას მშობლიურ სახლში. (1)

10. შენისთანა კარგ გოგოს თილისმა არ ექნება? (2)

11. ჩემი ბიჭები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ მაბეზღარას შესაპყრობად. (2)

12. – ძია, იმ ბავშვის მამას ხომ მოერევი? (2)

13. ქალი მთელი ეზოს გასაგონად ყვიროდა. (1)

## გაიხსენე: ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში

ხმოვანფუძიანი სახელებიდან მრავლობით რიცხვში იკვეცება მხოლოდ **ა**-ზე დაბოლოებული სახელები. **ე**, **ო** და **უ** ხმოვნებზე დაბოლოებულები კი უკვეცელია.

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ი | ხე-ებ-ი | უთო-ებ-ი |
| მოთხრობითი | მაგიდ~~ა~~-ებ-მა | ხე-ებ-მა | უთო-ებ-მა |
| მიცემითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ს | ხე-ებ-ს | უთო-ებ-ს |
| ნათესაობითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ის | ხე-ებ-ის | უთო-ებ-ის |
| მოქმედებითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ით | ხე-ებ-ით | უთო-ებ-ით |
| ვითარებითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ად | ხე-ებ-ად | უთო-ებ-ად |
| წოდებითი | მაგიდ~~ა~~-ებ-ო | ხე-ებ-ო | უთო-ებ-ო |

მრავლობით რიცხვში იკვეცება **ა**-ზე დაბოლოებული ის სახელებიც, რომლებიც მხოლობითში უკვეცელია: კოდალა – კოდალები; ჭრიჭინა – ჭრიჭინები...

**1.** დააკვირდი ზემოთ მოცემულ მაგალითებს და უპასუხე კითხვებს:

ა) რომელი ხმოვანფუძიანი სახელი იკვეცება მრავლობითი რიცხვის ნიშნის დართვისას და რომელი – არა?

______________________________

ბ) ბრუნვის ნიშნები ერთნაირია ყველა ხმოვანზე დაბოლოებული სახელის ბრუნებისას, თუ არის რაიმე განსხვავება?

______________________________

**2.** ზემოთ მოცემული ნიმუშების მიხედვით აბრუნე სახელები: **სპილო, გზა, რუ, ჭრიჭინა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მხოლობითი | სახელობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მოთხრობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მიცემითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | ნათესაობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მოქმედებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | ვითარებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | წოდებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| მრავლობითი | სახელობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მოთხრობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მიცემითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | ნათესაობითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | მოქმედებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | ვითარებითი | .......... | .......... | .......... | .......... |
| | წოდებითი | .......... | .......... | .......... | .......... |

**3.** ფრჩხილებში მოცემული სახელები გადაიყვანე მრავლობით რიცხვში:

1. თუ სწრაფად ირბენს, შეიძლება ............................ (ჯადოქარი) და ............................ (ძაღლი) ვერ დაეწიონ.
2. არც კოცონის შუქი მოჩანდა, არც ქალაქის ............................ (სინათლე).
3. ცაზე გაფანტული ............................ (ღრუბელი) მთვარის შუქზე ვერცხლის-ფრად ბრწყინავდნენ.
4. კოცონი გიზგიზებდა. ............................ (ნაპერწკალი) აქეთ-იქით ცვიოდა.
5. იმდროინდელ მოგზაურებს ყოველთვის ჰყავდათ პატარა კოლოფებში დამ-წყვდეული ............................ (ჭიამაია).
6. მზეთუნახავ ბაიას ყვითელი ფურცლებისაგან შეკერილი კაბა ეცვა და, ............................ (ციცინათელა) გარშემორტყმული, ტყეში მიდიოდა.

## გაიხსენე: კუმშვად-კვეცადი სახელები

რამდენიმე არსებითი სახელი ერთდროულად იკუმშება და იკვეცება კიდეც: ასეთებია: **ქვეყანა, ქარხანა, ფანჯარა, მოყვარე, პეპელა.**

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | ქვეყანა | ქარხანა | ფანჯარა |
| მოთხრობითი | ქვეყანა-მ | ქარხანა-მ | ფანჯარა-მ |
| მიცემითი | ქვეყანა-ს | ქარხანა-ს | ფანჯარა-ს |
| ნათესაობითი | ქვეყანა-ის | ქარხანა-ის | ფანჯარა-ის |
| მოქმედებითი | ქვეყანა-ით | ქარხანა-ით | ფანჯარა-ით |
| ვითარებითი | ქვეყანა-დ | ქარხანა-დ | ფანჯარა-დ |
| წოდებითი | ქვეყანა-ვ | ქარხანა-ვ | ფანჯარა-ვ |

**1.** აბრუნე:

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | მოყვარე | პეპელა |
| მოთხრობითი | ........................ | ........................ |
| მიცემითი | ........................ | ........................ |
| ნათესაობითი | ........................ | ........................ |
| მოქმედებითი | ........................ | ........................ |
| ვითარებითი | ........................ | ........................ |
| წოდებითი | ........................ | ........................ |